MES 9 21 0001193142

05/11/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 22.10.2021
სხდომის დაწყების დრო: 15:10 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:38სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათიაზედგინიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამშენგელია (I, II საკითხი)
სხდომის მდივანი: ეკატერინე ნაცვლიშვილი (III, IV, V საკითხი)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
5. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
6. **ნიკა თიკანაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
7. **გიორგი ღაღანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

8. **დავით კაპანაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
9. **დიანა მჭედლიშვილი -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
10. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
11. **თამარ ჩხეიძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
12. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
13. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	შოთა კეჟერაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კორდინატორი
3	ნინო გულიაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	თეა კორძაძე	**სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
2	მირანდა მნაცაკანიანი		ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
3	ტარიელ ქემოკლიძე		მათემატიკის დეპარტამენტის კოორდინატორი, პროგრამის ხელმძღვანელი	I
4	ზაზა სოხაძე		მათემატიკის დეპარტამენტის პროფესორი	I
5	რომეო გალდავა	**სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
6	ირმა ცომაია		პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	II
7	ანტონ ჩიქოვანი		ასოცირებული პროფესორი	II
8	ნინო ტაბატაძე		ასისტენტ პროფესორი	II

9	რევაზ ჯორბენაძე	**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**III, IV, V**
10	მარიამ მსხალაია		სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი	**III, IV, V**
11	სალომე ნამიჭეიშვილი		საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	**III, IV, V**
12	ნინო შატბერაშვილი		სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	**III, IV, V**
13	თამარ მახარაძე		დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	**III, IV, V**
14	ნინო ქიმერიძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის შეფასებისა და კვლევების განყოფილების უფროსი, ასოცირებული პროფესორი	**III, IV, V**
15	ქრისტინე ჩიხლაძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი	**III, IV, V**

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ**	**საკითხი**
1	რომეო გალდავა	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	გიორგი გიორგობიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ნინო პატარაია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	მამუკა ნადარეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ლაშა ლალიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	მაკა ჯავახია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	შორენა საძაგლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV, V
8	ნანა ბურდული	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV, V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის საკითხი;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალური მუშაობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხი („ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა);
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალური მუშაობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხი („ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა);
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალური მუშაობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხი („ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა).

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის საკითხი;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალური მუშაობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხი („ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა);
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალური მუშაობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხი („ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა);

5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალური მუშაობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხი („ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა).

1. პირველი საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მათემატიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	06.04.2012 გადაწყვეტილება №69
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მათემატიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მათემატიკა - 0541
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის ქუჩა №59, ქუთაისი, სასწავლო კორპუსი №4, 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა

დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რომეო გალდავამ, განაცხადა, რომ უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 3 სექტემბერს, ონლაინ რეჟიმში ზუმის პლატფორმის გამოყენებით. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა, მათ შორის: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებელთან. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება განხორციელდა ასევე დისტანციურად, ზუმის პლატფორმის საშუალებით. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოების/სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობა. ასევე შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა 5 სამაგისტრო ნაშრომი. დაწესებულებამ თავის მხრივ უზრუნველყო მშვიდ, აკადემიურ გარემოში ვიზიტის პროცესის განხორციელება.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია. პროგრამის მიზნებში აისახოს სპეციალიზაციის შესაძლებლობა;
2. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში უფრო ნათლად აისახოს თითოეული კონცენტრაციის სწავლის შედეგი;
3. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა განსაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების დეტალური რუბრიკები, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თეა კორძაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულება ეთანხმება და ითვალისწინებს ზემოაღნიშნულ რეკომენდაციებს. მას სურდა მხოლოდ ერთ რეკომენდაციაზე გაემახვილებინა ყურადღება, რადგან დაწესებულებას წარდგენილი ჰქონდა პროგრამა სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების ძველი წესით, რომელიც 15 ივლისს განახლდა, სადაც უკვე დაწვრილებით არის ჩაშლილი შეფასების კომპონენტები, ამიტომ აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნება პროგრამაში.
პროგრამის ხელმძღვანელმა და მათემატიკის დეპარტამენტის კოორდინატორმა, ტარიელ ქემოკლიძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა პირველი რეკომენდაცია და ჩამოყალიბდა ისეთი ფორმით, მიზანში ნახსენებია: სტუდენტს მისცეს მათემატიკის საკვანძო

დებულებების ღრმა ცოდნა და მაგისტრანტს გამოუმუშაოს კვლევითი უნარ-ჩვევები არჩეული კონცენტრაციის ფარგლებში, რაც გამოიხატება ფუნქციათა თეორიის, დიფერენციალური განტოლებებისა და ალგებრა-გეომეტრიის მიმართულებებით; გამოუმუშაოს სტუდენტს მაღალი დონის პროფესიული საქმიანობისა და სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებლად წარმართვისათვის აუცილებელი უნარები. ასევე, შეიცვალა/გადამუშავდა სწავლის შედეგები: ცოდნისა და გაცნობიერების ის აღწერილობა, რომელიც აუცილებელია მის გამოსავლენად; კონცენტრაცია „დიფერენციალური განტოლებები", რაც აღნიშნული არ არის თითოეულ კლასებში როგორ გამოიყენება და რა ცოდნა არის საჭირო იმისათვის, რომ სტუდენტმა ნორმალურად წარმოადგინოს/განიხილოს ცოდნისა და გაცნობიერების ასპექტები და მოცულობა; კონცენტრაცია „ალგებრა-გეომეტრია-ში" აღნიშნულია იმ საკითხების ჩამონათვალი, რასაც შეისწავლის სტუდენტი; უნარებში გამოყოფილია, რომ სტუდენტმა უნდა შეძლოს უახლესი ლიტერატურისა და ცალკე კვლევების წარმოჩენა/ინტერპრეტაცია ზეპირად და წერილობით, კონცენტრაციის მიმართ აღნიშნულია თუ რა უნარი უნდა ჰქონდეს სტუდენტს იმისათვის, რომ შეძლოს სამაგისტრო ნაშრომში განახორციელოს ნასწავლი, რა ძირითადი ასპექტებია და რა უნდა შეძლოს სტუდენტმა თითოეული კონცენტრაციის მიხედვით.
სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებული რეკომენდაციის შესახებ განმარტა, რომ დაწესებულება იზიარებს რეკომენდაციას, რომელიც უკვე შესრულებულია. ასევე, დაწესებულებამ გაითვალისწინა რჩევებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, განაცხადა, რომ იზიარებს სამივე რეკომენდაციას, რჩევების შესახებ კი ინგლისური ენის კომპონენტის გაძლიერებასთან დაკავშირებით დაინტერესდა თუ რამდენად არის ეს რჩევა, რადგან პროგრამაზე მიღების წინაპირობებში არ წერია ინგლისური ენის ცოდნა და არჩევით კომპონენტში არის ინგლისური, უნდა იყოს თუ არა რეკომენდაცია, რადგან არსებობს იმის რისკი, რომ ინგლისური ენა არ იყოს არჩეული სტუდენტების მიერ, ვინაიდან აქვს არჩევითი სტატუსი. სასწავლო კურსების სახელწოდებების დაკორექტირებასთან დაკავშირებული რჩევის შესახებ დაინტერესდა მხოლოდ სახელწოდებაში იყო პრობლემა და რა მდგომარეობაა ლიტერატურისა და შინაარსის ნაწილში.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, განაცხადა, რომ პროგრამა აკრედიტებულია 2012 წელს და დასკვნის თანახმად აკრედიტაციის ვადა გაუვიდა 2021 წლის 31 ივლისს, ამასთან დაკავშირებით დაინტერესდა იმ სტუდენტების შესახებ, რომლებიც სწავლობენ აღნიშნულ პროგრამაზე, ხომ არ შეექმნათ რაიმე პრობლემა გრანტთან დაკავშირებით და რატომ მოხდა ვადის გადაცილება. სწავლის შედეგებთან დაკავშირებით დასძინა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები გარკვეული თვალსაზრისით ახსენებს სპეციალიზაციებს, თუმცა ეს შედეგები არის ზოგადად დაწერილი, რომელიც შესაძლებელია მიესადაგებოდეს სხვა სამაგისტრო პროგრამასაც, აღნიშნული პროგრამის უნიკალურობა, გამორჩეულობა და აქცენტები ნაკლებად იკვეთება, შესაბამისად გადასახედია სწავლის შედეგები, რადგან ნებისმიერი სპეციალიზაციისთვის რა შედეგზე გავა სტუდენტი და იმ სპეციალიზაციაზე დაკონკრეტდეს, ასევე, დაეთანხმა ინგლისურის B2 დონეზე მოთხოვნას, ან წინაპირობაში, ან თვითონ სტრუქტურაში გაძლიერდეს დასაწყისიდანვე, ვინაიდან საკმაოდ მწირია ლიტერატურა ქართულ ენაზე და შესაბამისად საჭიროა შემოტანილ იქნას ინგლისურენოვანი, თანამედროვე ლიტერატურა, სამაგისტრო ნაშრომებშიც კი იკვეთება აღნიშნული პრობლემა, არ არის გამოყენებული თანამედროვე ლიტერატურა, თანამედროვე შედეგები, კონკრეტულად იმ ვიწრო მიმართულებაში, რაც გამოყენებულია, შესაბამისად გასაძლიერებელია ინგლისური ენის ცოდნა. შეფასების სისტემებთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ სასწავლო კურსებში ერთგვაროვანია გამოყენებული, მან აღნიშნა, რომ პროგრამის შინაარსობრივი მხარე, მათემატიკური თვალსაზრისით გამართულია.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, მიმართა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, თეა კორძაძეს, მან განაცხადა, რომ ერთ-ერთ წინა პროგრამაზე

დაწესებულების წარმომადგენლებმა საბჭოს განუცხადეს, რომ მიმდინარეობდა მუშაობა ბიუჯეტის შესახებ, დაინტერესდა, მალე მოვიდოდა თუ არა აღნიშნული უნივერსიტეტიდან ბიუჯეტი იმ ფორმით, რომ საბჭოს ექნებოდა შესაძლებლობა მყარად მიიღოს გადაწყვეტილება პროგრამის ფინანსური მდგრადობის შესახებ. მან დასძინა, რომ საბჭოს დამოკიდებულება ამ საკითხზე არ შეიცვლება და მუდმივად დაიწერება იგივე პროგრამა ბიუჯეტთან დაკავშირებით, რადგან რამდენიმე ინსტიტუციას შეაცვლევინეს და ეს არ არის ამდენად პრინციპული საკითხი, რომ არ შეეძლოთ სხვა ფორმით წარმოდგენა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რომეო გალდავამ, სასწავლო კურსების სახელწოდებასთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციაზეც ექსპერტთა აღნიშნული ჯგუფი იყო, სწორედ ამ საკითხით დაიწყეს შემოწმება და პრობლემა მხოლოდ სახელწოდებაშია, რადგან ისინი მეორდება, მაგრამ სხვადასხვა დონის საგანია, მათემატიკაში არის ასეთი შემთხვევები, მაგრამ თუ დაწესებულება შეცვლის სახელწოდებებს გარკვეულწილად კარგი იქნება, თუმცა არსობრივად აბსოლუტურად სხვადასხვა საგანია. სწავლის შედეგებთან, კონცენტრაციებთან დაკავშირებით დაეთანხმა საბჭოს წევრს, დიანა მჭედლიშვილს, რომ წარმოდგენილია 3 აბსოლუტურად განსხვავებული კონცენტრაცია და 60 კრედიტია გათვალისწინებული კონცენტრაციაში, ზოგადად კი არის მათემატიკოსი, მაგრამ იმდენად მნიშვნელოვანი დარგებია, რომ ეს ხალხი განსხვავებულია თავის ვიწრო სპეციალობით, სწორედ ამიტომ ჩარჩოშიც არის ჩანაწერი, რომ უნდა იყოს სწავლის შედეგები, რასაც დაწესებულება დაეთანხმა და გადაგზავნილ დოკუმენტშიც ასახულია. უცხო ენასთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის კითხვა იყო ინგლისურთან დაკავშირებით, მაგრამ ინსტიტუციის მოსაზრებით, მხოლოდ ინგლისურზე აქცენტის გაკეთება არ ჩათვალეს სწორად, რადგან შესაძლებელია სხვადასხვა ენები ყოფილიყო, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ მათ დარგში ძირითადად ინგლისურ ენაზეა სტატიები, თუმცა რჩევის სახით გასცეს აღნიშნული მოსაზრება.
პროგრამის ხელმძღვანელი, მათემატიკის დეპარტამენტის კოორდინატორმა, ტარიელ ქემოკლიძემ, განაცხადა, რომ იყო რჩევა ინგლისურის კომპონენტთან მიმართებაში, აღნიშნა, რომ მათ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლობს 84 სტუდენტი და 79 მათგანი სწავლობს ინგლისურ ენას, 6 ადამიანი სწავლობს რუსულ ენას, ამიტომ დაწესებულების წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ მომავალი წლიდან ექსპერტთა ჯგუფის რჩევა ინგლისური ენის კომპონენტთან დაკავშირებით დაიდოს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის სახით. საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სასწავლო კურსების დასახელებების შესახებ მან განაცხადა, რომ მათ აქვთ განმასხვავებელი ნიშანი, გარდა ამისა პედაგოგი პირველივე ლექციაზე უსვამს ხაზს თუ რა არის ნასწავლი და რა განსხვავებაა, დაწესებულების წარმომადგენლები გაესაუბრნენ საგნის ლექტორსაც და შეცვალეს გარკვეული საკითხები. სწავლის შედეგებისა და უნარების შესახებ მან განმარტა, რომ შეიცვალა ზოგადი ფორმით წარმოდგენილი, მაგ., „ალგებრა-გეომეტრიის“ კონცენტრაციაში „ფლობს ჯგუფთა და მოდულთა თეორიის საკვანძო საკითხებს და ამ სტრუქტურების ტოპოლოგიებს“. შეფასების სისტემებთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ ჩამოთვლილია შეფასების 7 სისტემა, რაც მისი მოსაზრებით საკმარისი განსხვავებაა სხვადასხვა სასწავლო კურსის შესაფასებლად.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თეა კორძაძემ, ბიუჯეტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ როგორც წინა სხდომებზე ითქვა, დაწესებულება უკვე მუშაობს და ძალიან მალე აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოს წარედგინება დასამტკიცებლად, მაგრამ რადგან ეს ადრე წარდგენილი პროგრამებია, მხოლოდ ოქტომბერში წარდგენილი პროგრამებში იქნება ბიუჯეტის განახლებული ვარიანტი. მან უნივერისტეტის ადმინისტრაციის სახელით განაცხადა, რომ თუ პროგრამაზე იქნება მცირე რაოდენობით სტუდენტები მიღებული, დაწესებულება მაინც დააფინანსებს და შეძლებს აღნიშნული პროგრამის უზრუნველყოფას ფინანსურად და თუ მდგრადი არ არის სტუდენტთა რაოდენობის მხრივ უნივერსიტეტი ყველა სხვა დანარჩენი ხარჯებიდან შეძლებს თანხების გადმოტანას იმ პროგრამიდან, რომელსაც ნაკლები რაოდენობის სტუდენტები ყავს. რაც შეეხება გრანტებს, აღნიშნულ პროგრამას

ნამდვილად ყავს გრანტის მქონე სტუდენტები, შესაბამისად საბჭოს მიმართ დააყენა შუამდგომლობა აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში ოქმი გაფორმებულიყო სხდომის ჩატარების თარიღით, რადგან პირველი ნოემბრის მდგომარეობით განისაზღვრება გრანტი და გრანტიან სტუდენტებს არ შეექმნებათ პრობლემა, არც პირველკურსელებს და არც მაგისტრატურის სტუდენტებს, იქნებიან დაფინანსებულნი სახელმწიფოს მიერ.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, განაცხადებით დაწესებულებას მიღების წინაპირობებში უწერია ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან, თუმცა დაინტერესდა ექსპერტის მოსაზრებით, თუ რამდენად შესაძლებელი იქნება იმ საგნების შესწავლა, რომელიც საკმაოდ სერიოზული საგნებია, მაგ., ჰუმანიტარული პროგრამის ბაკალავრის მქონე სტუდენტისთვის, მიუხედავად იმისა, რომ არის მისაღები გამოცდა მათემატიკაში, მაგრამ იქნება თუ არა საკმარისი აღნიშნული მისაღები გამოცდა, რომ შემდეგ სტუდენტმა შეძლოს პროგრამის დაძლევა, მან ასევე მიმართა დაწესებულებას თუ აქვთ მონაცემები რომელი ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირები აგრძელებენ სწავლას მათ პროგრამაზე, ხომ არ შეიძლება, რომ შემჭიდროვდეს მიღების წინაპირობა, მაგ., რომ იყოს მათემატიკა და მისი მომიჯნავე დარგები, რათა გაუმარტივდეს სწავლა. მისი თქმით სამაგისტრო ნაშრომებზე საუბრისას ახსენა ლიტერატურა, რომელიც ხშირ შემთხვევაში არის მოძველებული, არ არის თანამედროვე სტანდარტებზე დაფუძნებული, ასევე გაფორმების ნაწილში, არ არის ციტირება, რეზიუმე, აბსტრაქტები არ აქვს სამაგისტრო ნაშრომს არც ქართულად არც ინგლისურად, ანუ სტილი, რაც არსებობს აკლია ნაშრომებს, რომელიც სავალდებულოს ხდის ნაშრომებს ინსტიტუციაში და არის პრაქტიკაში და ამ პროგრამასთან მიმართებით უკვე გამოყენებულია, რადგან 2019 წლის სამაგისტრო ნაშრომიც ნახა, ამასთანავე დაინტერესდა ანტიპლაგიატის, ე.წ. მსგავსობის პროგრამების გამოყენების პრაქტიკა თუ არსებობს და რა შედეგებს აჩვენებს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა კითხვა მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით, რადან მათემატიკა სპეციფიური დარგია და გარკვეულ საბაზისო ცოდნას მოითხოვს, თუმცა გამოითხოვეს სტატისტიკა და არ ყოფილა შემთხვევა, რომ სხვა სპეციალობის სტუდენტს გაეგრძელებინა ამ მიმართულებით, თუმცა საგამოცდო საკითხებზე დაკვირვებით, განმარტა, რომ თუ ვინმეს აქვს სურვილი სამაგისტრო მიმართულებით შეიცვალოს პროფესია, რატომაც არა, თუ სტუდენტს გადაწყვეტილი აქვს, რომ ასეთ რთულ პროგრამაზე უნდა ისწავლოს, შიდა საუნივერსიტეტო გამოცდით გაირკვევა იქნება თუ არა შესაძლებელი, მაგრამ არ ყოფილა ასეთი შემთხვევა. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმებასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ შინაარსობრივად/აზრობრივად არის შესაბამისი ნაშრომი, ექსპერტთა ჯგუფმაც შეამჩნია პატარ-პატარა უზუსტობები და სწორედ ამიტომ გაიცა რჩევა, რომ დაიცვან ის წესი, რომელიც აქვთ, ნაშრომები არის მაღალი დონის და გაფორმებით არ უნდა დაკნინდეს, რაც შესაძლებელია სტუდენტების, ხელმძღვანელების დაუკვირებლობის საკითხი იყოს.

მათემატიკის დეპარტამენტის პროფესორმა, ზაზა სოხაძემ, განაცხადა, რომ, როგორც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა დაწესებულებას არ ჰქონია შემთხვევა, ჰუმანიტარული მიმართულებიდან მათემატიკის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების, მაგრამ ფიზიკისა და ბიზნესის სპეციალობიდან ჰქონდათ შემთხვევები, მისი მოსაზრებით არის მნიშვნელოვანი განსხვავება, უნდა ჩააბაროს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა, დაწესებულებას ჰქონდა ერთი მიდგომა ბიზნესის სპეციალობის სტუდენტებისთვის, რომლებმაც განაცხადეს, რომ სურდათ სწავლა გაეგრძელებინათ მათემატიკის სამაგისტრო პროგრამაზე ერთი წელი მოუწია საბაკალავრო ძირითადი კურსების გავლა, რადგან ის ხარვეზი, რაც ამ პროგრამებს შორის იყო შეევსო და შემდეგ მან წარმატებით ჩააბარა და დაიცვა სამაგისტრო ხარისხი. ფინანსური მდგრადობის შესახებ განაცხადა, რომ რამდენიმე მიზეზი აქვს თუ რატომ კლებულობს სტუდენტების რაოდენობა სამაგისტრო პროგრამებზე და არის თუ არა მოსალოდნელი მომავალში კიდევ უფრო შემცირება, ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ არ არის ბოლომდე გარკვეული მასწავლებლის სტატუსის მინიჭება, მიდის საუბარი, როგორც

თსუ-ის, ასევე სამინისტროს დონეზე, დაწესებულებას მიაჩნია, რომ საკანონმდებლო დონეზე მკაფიოდ უნდა იქნას გარკვეული განათლების 60 კრედიტის დამატების შემდგომ ექნება თუ არა მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს მასწავლებლის სტატუსი, ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა გადინება, გამოიწვია 60 კრედიტიანმა პროგრამებმა, რომლებიც მასწავლებლის სტატუსს ანიჭებს და შემცირების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თეა კორძაძემ, ანტიპლაგიატის პროგრამასთან დაკავშირებით, განმარტა, რომ დაწესებულება 2018 წლიდან ჩართულია Erasmus+-ის პროექტში, რომელიც უნივერსიტეტებში აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით საკითხებსა და კულტურის ამაღლებას ითვალისწინებს, შესაბამისად ყველა სამაგისტრო ნაშრომი უნდა გატარდეს Turnitin-ის პროგრამაში, ასევე 2019 წელს უნივერსიტეტმა მიიღო ნაშრომების გაფორმების ოფიციალური სტილი - ჩიკაგოს სტილი, სავარაუდოდ 2017-2018 წლის ნაშრომები არ იქნებოდა გაფორმებული აღნიშნული სტილის მიხედვით, მაგრამ ვინაიდან უკვე განახლებული ნაშრომის გაფორმების სტილი მიიღეს, მკაცრად არის აღნიშნული, რომ ნაშრომში უნდა იყოს დაცული სტილი, ყველა ნაშრომი გატარებულია Turnitin-ზე და ამას ითვალისწინებენ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოახდენს ამის მონიტორინგს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, მან განაცხადა, რომ 5.3 კომპონენტში საუბარია პროგრამებთან შედარების შედეგად მიღებული დასკვნების შესახებ, სთხოვა დაეზუსტებინა საერთოდ არ არის დასკვნები თუ რაიმე კონკრეტული ფორმით არ იყო მიწოდებული.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რომეო გალდავამ, განმარტა, რომ შესაბამისი ფორმით არ იყო მიწოდებული და როდესაც მოითხოვეს, პროექტის შემდეგ გამოგზავნეს, შესაბამისად დადასტურდა, მაგრამ ერთიან ფორმაში მოქცეული არ იყო, ექსპერტი, ნინო პატარაია, იყო აღნიშნულის ინიციატორი და დატოვეს, რადგან დაწესებულებას გაეგრძელებინა მუშაობა და ერთიან ფორმაში მოეყვანა.
ექსპერტმა, ნინო პატარაიამ, განაცხადა, რომ შედარებითობა განხორციელებული ჰქონდა დაწესებულებას, უბრალოდ ეს არ არსებობდა ერთიანი დოკუმენტაციის სახით, რაც საშუალებას მისცემდა ექსპერტთა ჯგუფს უფრო სიღრმისეულად შეესწავლათ დაწესებულების მიერ განხორციელებული ბენჩმარკინგი, თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნული იყო თუ რომელ უნივერსიტეტთან გაავლეს პარალელები და გაითვალისწინეს საუკეთესო პრაქტიკა, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფის წევრების მოსაზრებით აუცილებელია არსებობდეს კონსოლიდირებული სახით.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ არ არსებობს პროგრამა უნივერსიტეტში, რომელზეც არ იქნება ბენჩმარკინგი გაკეთებული, უცხოური უნივერსიტეტების პროგრამაზე დადარება და საუკეთესო გამოცდილების გაზიარება, მაგრამ დაწესებულებას ზაფხულამდე არ ჰქონდა ასეთ დოკუმენტი, მაგრამ ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფმა ორ სხვადასხვა პროგრამაზე გამოთქვა რეკომენდაციები, დაწესებულებამ შეიმუშავა და აკადემიურ საბჭოზეც გაიტანა ფორმა, შესაბამისად უკვე არსებობს უნივერსიტეტში და წარდგენილი იქნება სხვა პროგრამებში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:48
დასრულების დრო: 16:08

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის მეორე სტანდარტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რადგან კომპონენტი 2.2, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; კომპონენტი 5.1, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამის მიზნებში აისახოს სპეციალიზაციის შესაძლებლობა;
2. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგებში თითოეული კონცენტრაციის სწავლის შედეგები გაიწეროს ცალ-ცალკე დარგის, პროგრამის სპეციფიკის შესაბამისად;
3. რეკომენდირებულია ინგლისური ენის კომპონენტის გაძლიერება, რაც შესაძლებელია განხორციელდეს არჩევითი სასწავლო კურსების დარგობრივი ინგლისური ენა-1 და დარგობრივი ინგლისური ენა-2- ის სავალდებულო კომპონენტად წარმოდგენით ან პროგრამის მიღების წინაპირობად ინგლისური ენის B2 დონის ცოდნის დადასტურებით;
4. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა განსაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების დეტალური რუბრიკები, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა;
5. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად;

რჩევები:

1. სასურველია, სპეციალობაში შიდა საუნივერსიტეტო საგამოცდო საკითხებში გაიზარდოს ალბათობის თეორიის, დისკრეტული მათემატიკისა და რიცხვითი ანალიზის საბაზო საკითხების რაოდენობა;
2. სასურველია სამაგისტრო პროგრამის იმ სასწავლო კურსების სახელწოდებების კორექტირება, რომელთა სახელწოდებები ემთხვევა საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სახელწოდებებს;
3. სასურველია, აკადემიურმა პერსონალმა გააგრძელოს მუშაობა მაგისტრატურის დონის სახელმძღვანელოების/სალექციო კურსების/რიდერების შექმნის მიმართულებით, ვინაიდან ამ მხრივ ქართულენოვანი ლიტერატურა საკმაოდ მწირია;
4. სასურველია, ფაკულტეტმა ყოველი სემესტრის დასაწყისში შეადგინოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის განრიგი დეპარტამენტების მიხედვით და განათავსოს საკუთარ ვებ-გვერდზე;
5. სასურველია, სამაგისტრო ნაშრომების შესრულებისას დაცული იყოს მისი გაფორმების წესი;
6. სასურველია, პროგრამის ბიუჯეტში ჩანდეს პროგრამის ფინანსური მხარდამჭერი წყაროები, მათ შორის ერთჯერადი;

7. სასურველია, გამოკითხვის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებები თავს იყრიდეს ერთიანი რეაგირების ანგარიშში, რათა უფრო ნათლად გამოიკვეთოს, თუ რამდენად იყენებს უსდ გამოკითხვის შედეგებს პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის;
8. სასურველია, პროგრამის უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან შედარების შედეგად მიღებული დასკვნები წარმოდგენილი იყოს შესაბამისი ანგარიშის სახით.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭომ დააკმაყოფილა დაწესებულების წარმომადგენლის შუამდგომლობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით, შესაბამისად გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2021 წლის 22 ოქტომბრიდან.

2. მეორე საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის საკითხი;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	07.09.2020 გადაწყვეტილება №791399
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფარმაციის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-

11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ფარმაცია - 0916
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	-
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	ანა პოლიტკოვსკაიას №26, თბილისი,0186 საქართველო

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა - მაკა კაჭარავამ;
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა, მაკა ჯავახიამ, განაცხადა, რომ მისი დასკვნა ეხება სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას „ფარმაციის“ მიერ აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე გაძლიედეს ლოგისტიკის, მენეჯმენტისა და ეკონომიკის სწავლება და განახლდეს ლიტერატურა, განსაკუთრებით მარკეტინგისა და მენეჯმენტის მიმართულების საგნებში - ექსპერთა მიერ გაცემული რეკომენდაცია გათვალისწინებულია, კერძოდ შეიცვალა სასწავლო კურსის „ფარმაციის მენეჯმენტისა და მარკეტინგის საფუძვლების“ შინაარსი და გახდა უფრო მრავალფეროვანი. ამავე დროს განახლდა ძირითადი ლიტერატურა: ამოღებულ იქნა სახელმძღვანელო ვ. ერიაშვილი, ნ. დუღაშვილი. ფარმაცევტული ბიზნესის საფუძვლები. თბილისი. 2006. და დაემატა სახელმძღვანელო მარკეტინგის საფუძვლები. ფილიპკოტლერი. გარიამსტრონგი. მთარგმნელები: ლ. აბდუშელიშვილი, ნ. მარჩხაშვილი. ბაკურ სულაკაურის გამოცემა 2015. ასევე შეიცვალა არჩევითი სასწავლო კურსის „ფარმაკო ეკონომიკის საფუძვლების“ შინაარსი დაემატა მთელი რიგი საინტერესო და აქტუალურისაკითხები. ამავე დროს განახლდა

ძირითადი ლიტერატურა და დაემატათ. შენგელია. საერთაშორისო ბიზნესი. ლექციების კურსი. 2011;

2. პროგრამაში გათვალისწინებული იყოს ფარმაციის მიმართულების საქართველოს საკანონმდებლო აქტების სწავლება - აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია, კერძოდ, განხორციელდა ცვლილებები „ფარმაცევტული საქმის ორგანიზაციისა და ეკონომიკის“ სავალდებულო სასწავლო კურსის შინაარსში. დაემატა შემდეგი საკითხები: კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, კანონი წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ, საგადასახადო კოდექსი, საქართველოს ორგანული კანონი, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, ორგანიზაციის გარემო, (კონკრეტული საკანონმდებლო აქტის წერილობითი გარჩევა). ამავე დროს განახლდა ძირითადი ლიტერატურა, კერძოდ დაემატა: კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“. 2009. საგადასახადო კოდექსი, საქართველოს ორგანული კანონი. 2010. კანონქვემდებარე აქტები, ბრძანებები, დადგენილებები. 2009-2018 წწ;

3. სილაბუსებში შემცირდეს ლიტერატურის რაოდენობა და კონტექსტუალურად იქნას მოყვანილი საგნებთან შესაბამისობაში - ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია გათვალისწინებულია, კერძოდ, რიგ სასწავლო კურსებში განახლდა სავალდებულო ლიტერატურა, მოყვანილ იქნა შესაბამისობაში სასწავლო კურსებთან და შემცირდა ლიტერატურის რაოდენობა. მტკიცებულებებად წარმოდგენილია შემდეგი სილაბუსები: ჰომეოპათიის საფუძვლები, ფარმაცევტული ანალიზი, ფარმაკოლოგია 1. ფარმაკოლოგია 2. კოსმეტიკური და პარფიუმერული საშუალებების ტექნოლოგიები;

4. უფრო მეტ პრაქტიკის ობიექტებთან ხელშეკრულებების გაფორმება - აღნიშნული რეკომენდაცია გაითვალისწინებულია, ანგარიშთან ერთად წარმოდგენილია შემდეგი ხელშეკრულებები: 2020 წლის 15 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულებაშპს “პსპ ფარმა“ -სთან და 2020 წლის 1 დეკემბერს-ხელშეკრულებასს “გეფას“-სთან;

5. პროფესიული პრაქტიკის მოცულობის გაზრდა - ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია გათვალისწინებულია, კერძოდ, პრაქტიკული კომპონენტის „პრაქტიკა - ფარმაცევტული დახმარება“ მოცულობა გაიზარდა, იყო 5 კრედიტი და გახდა 8 კრედიტი, გაზრდა განხორციელდა არჩევითი კურსების შემცირების ხარჯზე;

6. გაგრძელდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე მუშაობა - აღნიშნული რეკომენდაცია გაითვალისწინებულია, კერძოდ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ლორანის უნივერსიტეტს (საფრანგეთი) შორის გაფორმდა მემორანდუმი (2020 წ), რომლის თანახმადაც საერთაშორისო პროგრამის „ერასმუს“ ფარგლებში (3 წლის განმავლობაში) განხორციელდება ქართველი და ფრანგი სტუდენტების, ბაკალავრებისა და მაგისტრანტების სტაჟირებები სასწავლო, საწარმოო და სამეცნიერო - კვლევითი პრაქტიკის გავლის მიზნით;

7. სწავლის შედეგების მისაღწევად გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა - აღნიშნული რეკომენდაცია ჯერ არ შესრულდა, ვინაიდან უნივერსიტეტის ადმინისტრაციას დაგეგმილი აქვს პერსონალის გაზრდა, რაც დამოკიდებული იქნება 2021 წლის მიღების მაჩვენებლზე;

8. გაგრძელდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება - ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია გათვალისწინებულია, კერძოდ 2021 წელს განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება;

9. საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტის სრულყოფა და შესაძლო რისკების განსაზღვრა - აღნიშნული რეკომენდაცია ჯერჯერობით არ შესრულებულა. აღნიშნული საკითხი განხილვის პროცესში იყო ანგარიშის წარმოდგენის დროს (აგვისტოს თვეში). ამ რეკომენდაციის შესასრულებლად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მიმართა წარმომადგენლობით საბჭოს, ვინაიდან უნდა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის წესში, კერძოდკი დანართებში, სადაც სხვა მაჩვენებლებთან ერთად უნდა აისახოს პროგრამის შემოსავლები და ხარჯები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, რომეო გალდავამ, განაცხადა, რომ როდესაც შეიტანეს სააკრედიტაციო განაცხადი უკვე გაზრდილი ჰქონდათ პერსონალის რაოდენობა ფარმაციის მიმართულებით, პროგრამაში ასევე ჩართულია დაწესებულების აკადემიური პერსონალი სხვა საგნებში, ქიმია, ბიოლოგია და ა.შ., თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ კარგი იქნებოდა აკადემიური პერსონალის გაზრდა, უნივერსიტეტს აქვს აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის თავისი წესი, შესაბამისად აიღეს სამიზნე ნიშნულად 2021 წლის მიღება, სამწუხაროდ ამ პროგრამაზე მღება იყო ძალიან მწირი, დაწესებულება იფიქრებს ამ საკითხზე, დააკვირდებიან მომავალში და თუ საჭირო იქნება გაზრდი აკადემიურ პერსონალს, თუმცა არსებული აკადემიური პერსონალი თავს ართმევს სტუდენტების არსებულ რაოდენობას, თუ გაიზრდება სტუდენტთა რაოდენობა დაწესებულება მზად არის გაზარდოს პერსონალის რაოდენობაც.
მეორე რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა კომპლექსური პრობლემა დააფიქსირა ბიუჯეტის პრობლემა, რადგან ყველგან დაფიქსირდა აღნიშნული რეკომენდაცია, შემდეგ პროგრამებში განსხვავებული სახით იქნება ბიუჯეტი წარმოდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, განაცხადა, რომ როდესაც რეკომენდაცია იწერებოდა სტუდენტების რაოდენობის ზრდაზე, იქ არ არის ნახსენები სტუდენტების რაოდენობის ზრდის შესაბამისად პერსონალის რაოდენობის გაზრდაზე, სტუდენტების დათვლილ რაოდენობაზე გაიცა რეკომენდაცია, შესაბამისად ინსტიტუციამ სტუდენტების რაოდენობასთან არ უნდა გააკეთოს ბმა, უნდა შეასრულოს რეკომენდაცია, გამოსავალი მარტივია, დაწესებულება ან შეასრულებს რეკომენდაციას, ან ვერ ახორციელებს პროგრამას, სხვა მიდგომა არ არსებობს, შესრულება არ ნიშნავს, რომ დაწესებულება დღეს გამოცხადებს კონკურსს და ხვალ აიყვანს პერსონალს, არამედ ნიშნავს, რომ დაიწყებს პროცესს, გამოაცხადებენ კონკურსს, საქმის კურსში ჩააყენებენ ცენტრს და საბოლოოდ მიაწვდიან ინფორმაციას. ბიუჯეტთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ სხვა პროგრამები საბჭოსთვის საინტერესო არ არის, რადგან რეკომენდაცია დაიწერა სწორედ აღნიშნულ პროგრამაზე, ამ პროგრამაზე უნდა გაკეთდეს ის, რაც ვერ გააკეთეს და თუ ვერ გააკეთეს 6 თვეში და ვერ შეასრულეს რეკომენდაციები, მისი მოსაზრებით შესაძლებელია საბჭომ განსაზღვროს 60 დღიანი ვადა და მოუწევთ ამ რეკომენდაციების შესრულება ამ პერიოდში, ამ პროგრამაზე აკრედიტაციის მიცემა და სხვა პროგრამებზე ხარვეზის გასწორება იქნება არასწორი განსახილველი პროგრამის მიმართ.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წელს სტუდენტების ძალიან მცირე რაოდენობა მიიღეს, შესაძლებელია ჩაატარეს კვლევა და რა აღმოჩნდა ის ობიექტური გარემოება, რამაც შეიძლება განაპირობა მცირე კონტიგენტის მიღება.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ზოგადად არ აქვთ ხოლმე დიდი მიღება, თუმცა არასდროს ყოფილა შევსება პრობლემა, როდესაც ჩაატარეს პატარა ანალიზი, გაირკვა, რომ ბევრ ინსტიტუციაშია ამ მიმართულებით სტუდენტების კლება გარდა 1-2 მსხვილი უნივერსიტეტისა, მისთვის უცნობია რაზეა დამოკიდებული, დაწესებულება ვერაფერს ცვლის, ატარებენ შეხვედრებს, დადიან სკოლებშიც, მაგრამ მისი მოსაზრებით წელს იყო პირველი წელი, როდესაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებშიც ჰქონდათ დიდი პრობლემები ამ მიმართულებით, შესაძლებელია ეს იყო მძიმე წელი და ამიტომ მოხდა ასე.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მცირე კონტიგენტისა და ბიუჯეტის შესახებ რეკომენდაციის გათვალისწინებით დადგა რისკი, დაინტერესდა თუ რა პოლიტიკით ხელმძღვანელობს უნივერსიტეტი.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ „ფარმაციის“ მიმართულებით წინა სააკრედიტაციო საბუთებიდან აჩვენეს, რომ შეძენილი ჰქონდათ

ლაბორატორიები, დაახლოებით 70.000 ლარის დახარჯვა მოხდა, შემდგომ, რადგან ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა რომ სჭირდებოდა დამატება, დაემატა 15.000 ლარი, ეს ბიუჯეტი ბალანსდება და ამით უნივერსიტეტი პრობლემას არ შექმნის, თუმცა თუ შემდეგაც ასე გაგრძელდა კონკრეტული ზომების მიმართავენ.
საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, განაცხადა, რომ მიუხედავად არჩევითობისა ჰომეოპათიის, „ტვინის ელექსირი“, „კაცის ელექსირი“, ასეთი რაღაც, რამდენად კარგია თინა თოფურიას ნამუშევრების შეტანა, რადგან მედიცინა განვითარების სხვა საფეხურზეა ფარმაკოლოგიასა და ფარმაციაში, სთხოვა გადაეხედათ აღნიშნული სილაბუსისთვის, ეს რომ მედიცინის ისტორია იყოს და მისი მიმოხილვა გასაგებია, თუმცა დღევანდელ დღეს „კაცის ელექსირი“ ასწავლო აცდენილია დროს.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრს რჩევისთვის და განმარტა, რომ ამ მიმართულებით არ ყოფილა რჩევა/რეკომენდაციები.
საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ ეს თითქოს რჩევა იყო, მაგრამ არ არის მთლად რჩევა, მისი მოსაზრებით ეს ისწავლებოდა ისე, რომ მასზე ყურადღების მიქცევა არ შეიძლება და როდესაც ვრცელდება სოციალურ მედიაში პროფესიონალს უნდა ჰქონდეს სწორი და ადეკვატური დამოკიდებულება, მან ურჩია, მსგავსი საგნების სწავლებისგან თავი შეეკავებინათ, რადგან შემდეგში ეს ცვლის სტანდარტს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:45
დასრულების დრო: 17:01

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო პროგრამის ანგარიშზე განსაზღვრულიყო მონიტორინგის სამი თვის ვადაში.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:
1. სწავლის შედეგების მისაღწევად გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა;
2. საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტის სრულყოფა და შესაძლო რისკების განსაზღვრა;

რჩევები:
1. სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსი „ჰომეოპატიის საფუძვლები“ და შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე მოთხოვნებთან ან ამოღებულ იქნას არჩევითი ბლოკიდან.

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის 2^{11} პუნქტის, 31 მუხლის საფუძველზე, საბჭომ სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიიჩნია აკრედიტაციის პირობების შესრულების მიზნით, მონიტორინგის დანიშვნა ანგარიშის განხილვიდან სამი თვის ვადაში.

3. მესამე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალური მუშაობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხი („ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა);

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამი სშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციალური მუშაობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11.11.2011, გადაწყვეტილება №284
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალური მუშაობის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0923 - სოციალური მუშაობა და კონსულტირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი 0179, ჭავჭავაძის გამზ. 8, 14, კორპუსი VI, IV.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს - მარიამ შენგელიამ, გიორგი ღაღანიძემ და თეონა მატარაძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის მე-4 პუნქ ტის საფუძველზე, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, ეკატერინე ნაცვლიშვილს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, შორენა სამაგლიშვილმა, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დაევალა „სოციალური მუშაობის“ სამი პროგრამის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების „ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა. აღნიშნული პროგრამები აკრედიტებულია და სამივე პროგრამა ემზადება აკრედიტაციისთვის, რომელიც სამივე პროგრამას 2022 წლის ნოემბერში უწევს. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, საბაკალავრო პროგრამა აკრედიტებულია 2011 წელს, არის ძალიან წარმატებული პროგრამა, მისი შესწავლის დროსაც გამოიკვეთა პროგრამის არაერთი ძლიერი მხარე, მაგ., პროგრამას განვითარებული აქვს ძალიან ძლიერი პრაქტიკის კომპონენტი, რაც სოციალური მუშაობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, წარმოდგენილია მნიშვნელოვანი კურსები. პროგრამა შეფასდა სამი სტანდარტის მიხედვით, პირველი და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მეორე სტანდარტი კი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. მიზანშეწონილია, რომ პროგრამის სტრუქტურაში ნათლად იყოს წარმოდგენილი სასწავლო კურსებს შორის თანმიმდევრობა პირველი სემესტრიდან დაწყებული ბოლო სემესტრამდე;
2. მიზანშეწონილია, რომ ზოგიერთ სასწავლო კურსში განახლდეს ლიტერატურა. მათ შორის, შემდეგ სასწავლო კურსებში: „ინტერპერსონალური კომუნიკაციის ფსიქოლოგია“, „ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკა“, „უმცირესობათა პერსპექტივა“, „სოციალური სივრცე და ურბანული განვითარება“, „სოციალური მუშაობა აივ ინფექცია/შიდსის და სხვა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების მქონე პირებთან“, „ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარება“, „თანამედროვე სოციალური პრობლემები (I, II)“, „სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკა“, „სოციალური კვლევები: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა“;
3. მიზანშეწონილია ყველა კურსში გამოყენებული იყოს სწავლების საბაკალავრო საფეხურის შესაბამისი ლიტერატურა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა, სალომე ნამიჭეიშვილმა, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს, მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის კვალიფიკაციისა და გამოცდილების გათვალისწინებით მათი მოსაზრებები ძალიან სასარგებლო/საყურადღებოა პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის.

პირველი რეკომენდაციის შესახებ განაცხადა, რომ პროგრამის ფარგლებში სტრუქტურა ისეა მოცემული, რომ ორგანიზება ხდება საგაზაფხულო და საშემოდგომო კურსების მიხედვით, რასაც ექსპერტთა ჯგუფიც აღნიშნავს, ყველა სასწავლო კურსს განსაზღვრული აქვს დაშვების წინაპირობა, რომელიც სტუდენტებისთვის ნათელს ხდის სასწავლო კურსების თანმიმდევრობას, აღნიშნული პროგრამის სტუდენტებისთვის ცნობილია, რომ მათ აქვს კრედიტების მაქსიმალური რაოდენობის დაგროვების საშუალება და ისინი სწორედ ამ ჩარჩოში მოქმედებენ, ასევე, პროგრამაზე აქვთ ტუტორების პრაქტიკა, ანუ პროგრამაზე მიმაგრებულია ორი სპეციალისტი, რომლებიც მაქსიმალურად არიან ორიენტირებულნი, რომ უპასუხონ სტუდენტების კითხვებს, და მხარი დაუჭირონ პროცესის დაგეგმვისას. პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს მოქნილობას, ანუ არ არსებობს ჯგუფი, რადგან სტუდენტებს აქვთ ინდივიდუალური საჭიროებები/ხედვები, ისინი მოქნილად, თვითონ ადგენენ მათ სასწავლო პროცესს და სემესტრულად აუცილებელი სასწავლო კურსები ასეთი მიდგომა არ არის, რაც ხელს უწყობს უნივერსიტეტში შიდა და გარე მობილობას, ასევე სტუდენტებს აქვთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში და მოქნილი მიდგომა რა თქმა უნდა არის სტუდენტებზე ორიენტირებული.

მეორე რეკომენდაციის შესახებ განმარტა, რომ ლიტერატურის განახლებაზე მუშაობა არის მუდმივი/უწყვეტი პროცესია და არც აკრედიტაციის მიღებითა და არც რეაკრედიტაციის მიღებით არ სრულდება, გუნდი აღნიშნულ საკითხზე მუდმივად მუშაობ, თუმცა ერთ-ერთი კურსი, რომელზეც გაკეთდა კომენტარი, ეს არის „ინტერპერსონალური კომუნიკაციის ფსიქოლოგია“, რომელსაც უძღვება ნოდარ ბელქანია, იგი ძირითად სახელმძღვანელოდ იყენებს Schulz von Thun-ის სახელმძღვანელოს, ეს არის თანამედროვე, ცოცხალი მეცნიერი და მკვლევარი, რომელიც 80-იანი წლებიდან მუშაობს ამ სფეროში, სასწავლო კურსიც გარკვეულწილად ავტორიზებულია მის მიერ, რადგან ცნობს და თანამშრომლობაც აქვს გამოცდილება კურსის ხელმძღვანელს აღნიშნულ პირთან და მუდმივად ახლდება მისი ნაშრომები, შესაძლებელია იყოს მცირე ტექნიკური უზუსტობა, სილაბუსში რიდერი, სადაც კურსის ავტორი აერთიანებს მის ორიგინალ ნაშრომებს, სტატიებს და ა.შ. დათარიღებულია 1998 წლით, ხოლო რეალურად იგი ჩანაცვლებულია 2019 წლის რიდერით. სასწავლო კურსი „სოციალური სივრცე და ურბანული განვითარება“ უძღვება პროფესორი, იაგო კაჭკაჭიშვილი, კურსის ფარგლებში შემუშავდა რიდერი, ქრესტომათია, რომელიც ეფუძნება თანამედროვე, ამ სფეროში ძალიან მნიშვნელოვანი ავტორების სტატიებს, სხვადასხვა წიგნებიდან ამონარიდებს და სხვა, სტუდენტებს აქვთ საშუალება აღნიშნული კურსის ფარგლებში 300 გვერდიანი ქართულ ენოვანი ლიტერატურით ისწავლონ აღნიშნული საგანი. სასწავლო კურსში „ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკა“ ექსპერტებმა შესაძლებელია ყურადღება მიაქციეს რამდენიმე კვლევას, რომლებიც განხორციელებულია საქართველოში, უკავშირდება ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს და თარიღდება, მაგ., 2008 წლით, თუმცა აქაც მიზნობრივი გამოყენება აქვს კვლევებს, რადგან კურსის ხელმძღვანელს, თამარ მახარაძეს მიაჩნია, რომ სტუდენტები დროის განმავლობაში უნდა დააკვირდნენ, გაეცნონ თუ როგორ იცვლებოდა მიდგომები ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკის პრაქტიკული იმლემენტაციის ასპექტებით. საერთო ჯამში, პროგრამა იყენებს თანამედროვე, უახლეს, ქართულენოვან ლიტერატურას, საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ძირითადი სასწავლო ენა არის ქართული და მნიშვნელოვანია, რომ რაც მოიპოვება ქართულ ენაზე პროგრამაზე იყოს ხელმისაწვდომი და არის, თუ არის ცოტა ძველი კვლევები აქვს მიზანი, რომ გააზრებული იყოს დარგის განვითარება.

მესამე რეკომენდაციის შესახებ პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მისთვის იყო ძალიან საინტერესო, რადგან აღნიშნული რეკომენდაცია მიუთითებთ, რომ ლიტერატურა უნდა

იყოს საბაკალავრო საფეხურის შესაბამისი, დაინტერესდა თუ რა იდგა აღნიშნული რეკომენდაციის მიღმა და, როგორც დასკვნაში წერია უკავშირდება „ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკის“ კურსს და მთავარი რიდერი, რომელიც გამოიყენება სახელწოდებაში არის „მაგისტრატურის სტუდენტებისათვის“, რაც ბუნებრივად იწვევს დაბნეულობას. მან განმარტა, რომ აღნიშნული კურსი თავის დროზე შემუშავდა სამაგისტრო საფეხურზე, დაიტესტა და გამოცდილებამ აჩვენა, რომ კურსი უფრო მეტადი მიზნობრივი და საჭირო იქნებოდა საბაკალავრო საფეხურის პროგრამის ფარგლებში და ამიტომ გადმოინაცვლა საბაკალავრო პროგრამაზე და შესაბამისად რიდერიც დადგენილია, რომ კარგად მუშაობს საბაკალვრო საფეხურზე, რიდერში კი ჩარჩენილია სამაგისტრო საფეხური.
დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, თამარ მახარაძემ, განმარტა, რომ რიდერი არ გამოიყენება სამაგისტრო საფეხურზე.
საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა დასძინა, რომ ზოგადად 2006 წლიდან ხორციელდება აღნიშნული პროგრამები და სტუდენტების უკუკავშირი დადებითია ამ მიმართულებით, რადგან პროგრამა მიმართულია, რომ გაიგონ თუ რას ფიქრობენ სტუდენტები, მათი მოსაზრები პროგრამა და სტრუქტურა სრულად შესაბამისობაში სტანდარტთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, მან განაცხადა, რომ ზოგიერთი რჩევა, რომელიც პროგრამის განვითარებისთვის არის ფორმულირებული თავისი შინაარსით უფრო რეკომენდაციას გავს და სთხოვა ესაუბრათ ამასთან დაკავშირებით, მაგ., „სასურველია, მოხდეს მიზნების რეფორმულირება და მეტი კონკრეტიზაციის შეტანა, რაც მეტად გამოხატავს, თუ რა ცოდნით, უნარ-ჩვევებით და კომპეტენციებით არიან აღჭურვილები პროგრამის კურსდამთავრებულები“, „სასურველია, უფრო დეტალურად იყოს წარმოდგენილი დაშვების წინაპირობები და პროცედურები“, „სასურველია, სასწავლო კურსის დავალებები შეესაბამებოდეს სწავლების საბაკალავრო საფეხურის შესაბამის დონეს. მაგალითად, სასწავლო კურსში “სოციალური მუშაობის შესავალი”, რადგან ამ ფორმულირებით აღნიშნული რჩევები რეკომენდაციებს უფრო გავს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რჩევაზე, მიზნების რეფორმულირების შესახებ, მიიღეს პასუხი დაწესებულებისგან, რომ მიმდინარეობს ახალი მიზნების ფორმულირება, რადგან პროგრამა ემზადება აკრედიტაციისთვის და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით შეიცვალა სოციალური მუშაობის სტატუსი, იყო ინტერდისციპლინური მიმართულება და გახდა კეთილდღეობის მიმართულება, შესაბამისად გახდა საჭირო შესაბამისობის დადგენა, ექსპერტთა ჯგუფს დაწესებულებამ აუხსნა, რომ ამის დეტალიზაცია/კონკრეტიზაცია გამოიწვევდა პროგრამის სერიოზულ ცვლილებას და ამ ეტაპზე მიზანშეწონილი იყო დაეტოვებინათ ის ფორმულირება, რომელიც მოცემული იყო პროგრამაში, შესაბამისად, ვინაიდან მიმდინარეობს მუშაობა და მოხდება მისი კონკრეტიზაცია, აღნიშნული გადავიდა რჩევებში. დაშვების წინაპირობების შესახებ განაცხადა, რომ როგორც ცნობილია, საბაკალავრო საფეხურზე არსებობს დაშვების წინაპირობები, თუმცა პროგრამაში არ იყო დეტალურად მითითებული, რაც შეიძლება იყოს წარმოდგენილი სოციალური მუშაობისათვის, შესაბამისად ექსპერტთა მოსაზრებით ეს რჩევა უფროა, ვიდრე რეკომენდაცია, რადგან კარგი იქნებოდა, რომ, როდესაც ამ მნიშვნელოვან სფეროში მოდის სტუდენტი, თუნდაც საბაკალავრო დონეზე უფრო ნათელი უნდა იყოს წინაპირობა, სამოტივაციო წერილი ან რაიმე სხვა მოთხოვნა, რაც შესაძლებელს გახდიდა ის სტუდენტები მოსულიყვნენ პროგრამაზე, რომელთა მოტივაციაც უფრო მაღალია და შეესაბამებიან პროგრამას.
საბჭოს წევრი დაინტერესდა საუბრობდა თუ არა ექსპერტი საბაკალავრო საფეხურზე.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაადასტურა, რომ საუბარი იყო საბაკალავრო საფეხურზე, საფაკულტეტო საგნების შესახებ განმარტა რომ გარკვეული სტრუქტურით იყო ასარჩევი, როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა წარმოდგენილია მრავალფეროვანი კურსები და ხელს უწყობენ, რომ სტუდენტებს არ ჰქონდეთ შეზღუდვა კურსების არჩევისას, შესაბამისად

ესეც რჩევის სახითაა, რადგან სტუდენტებს არ უქმნით პრობლემას კურსების არჩევისას. ის მიზანი, რომელიც ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაბამისობის დადგენა, მისთვის საკმარისია ის რეკომენდაციები, რომლებიც ჩამოყალიბდა და არ საჭიროებს რჩევების რეკომენდაციებად გადაკეთებას.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტმა, ქრისტინე ჩიხლაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებას პროგრამის შემუშავების წესის მიხედვით აქვს 3 სტრუქტურა, აკადემიურ პერსონალს სთავაზობენ მოქნილობას ამ სტრუქტურების მიმართულებითაც ერთ-ერთი სტრუქტურა არის განაწილება სემესტრების მიხედვით, სადაც მითითებულია რომელ სემესტრში რა საგანია, განაწილებულია 8 სემესტრზე, აღნიშნული სტრუქტურა დაშვების წინაპირობებით არეგულირებს თავის თავს, ამ მიმართებით იგება LMS ბაზა და ეს საკითხი არ ცდება არც აკადემიური თავისუფლების ჩარჩოს და არც იმ წესებსა და ლოგიკას, რა ლოგიკითაც კურიკულუმი უნდა აიგოს და განვითარდეს სწავლა-სწავლების პროცესი.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დასძინა, რომ არის შემდეგი ჩანაწერი: „სასურველია, სასწავლო კურსის დავალებები შეესაბამებოდეს სწავლების საბაკალავრო საფეხურის შესაბამის დონეს“, დაინტერესდა შეესაბამება თუ არა სასწავლო კურსში შეტანილი დავალებები საბაკალავრო საფეხურს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ, როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, ტექნიკურად ნამდვილად ასე, იყო თუმცა ექსპერტებს არ ჰქონდათ დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების საშუალება, შესაბამისად შეიქმნა კურსი, რომელიც თავიდან გათვალისწინებული იყო სამაგისტრო დონისთვის, მაგრამ შემდეგ გადმოვიდა საბაკალავრო დონეზე და დარჩა სახელწოდება და ეს იყო ტექნიკური ხარვეზი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა 2.2 კომპონენტის რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რადგან საუბარი იყო ტუტორინგზე, მაგრამ ჩანაწერი არის, რომ „მიზანშეწონილია, რომ პროგრამის სტრუქტურაში ნათლად იყოს წარმოდგენილი სასწავლო კურსებს შორის თანმიმდევრობა პირველი სემესტრიდან დაწყებული ბოლო სემესტრამდე“, დაწესებულების განმარტებით აქვთ პროგრამის აგების 3 არქიტექტურა, ექსპერტთა ჯგუფს სთხოვა კიდევ ერთხელ ესაუბრათ მათი მიდგომის შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სტუდენტისთვის კარგი იქნება იცოდეს რომელ სემესტრში რა სასწავლო კურსების გავლა არის შესაძლებელი, ეს არ არის მითითებული, მაგ., სამაგისტროზე ეს მითითებულია, მისი ვარაუდით, რადგან საბაკალავრო საფეხურზე ბევრი სასწავლო კურსია არ დააწერეს, რადგან შესაძლებელია გადატვირთულიყო, მაგრამ ყველა კურსს უწერია წინაპირობა, კარგი იქნებოდა მოეფიქრებინათ სტრუქტურა, სადაც მიწერილი იქნებოდა რომელ სემესტრში გადის სტუდენტისთვის უფრო აღქმადი იქნებოდა, რომელი აერჩია, შესაძლებელია რთული კურსი აერჩია, თუმცა სტუდენტებს ჰყავთ ტუტორები, რომელებიც ამას ურჩევენ.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, რეკომენდაცია ნიშნავს ხარვეზს, რჩევის გათვალისწინება კი სასურველია, ამიტომ დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით ეს ხარვეზია თუ არა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, ყავთ ტუტორები, რომლებიც უხსნიან სტუდენტებს.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალური მუშაობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხი („ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა);

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლოპ როგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციალური მუშაობა
2		-

	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	26.07.2012, გადაწყვეტილება №267
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალური მუშაობის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0923 - სოციალური მუშაობა და კონსულტირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი 0179, ჭავჭავაძის გამზ. 8, 14, კორპუსი VI, IV.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს - მარიამ შენგელიამ, გიორგი ღაღანიძემ და თეონა მატარაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, შორენა საძაგლიშვილმა, განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამაც ერთ-ერთი საუკეთესოა პრაქტიკის კომპონენტის განვითარების კუთხით, ყველა სტანდარტთან მიმართებით პროგრამა შესაბამისია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაცია: მიზანშეწონილია ზოგიერთ სასწავლო კურსში განახლდეს სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა, რადგანაც მითითებული ლიტერატურა მინიმუმ 10 წლის წინანდელია. მათ შორის, შემდეგ სასწავლო კურსებში: „კლინიკური გერონტოლოგია“, „საერთაშორისო სოციალური მუშაობა“, „სოციალური მუშაობა ნივთიერებებზე დამოკიდებულ პირებთან“, „ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკა: სოციალური მუშაობის პერსპექტივა“.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო შატბერაშვილმა, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს რჩევების/რეკომენდაციის ნაწილში. მან განაცხადა, რომ ჯობია, რაც შეიძლება ახალი იყოს ლიტერატურა, უბრალოდ ზოგიერთ კურსში არის შედარებით უფრო ძველი ლიტერატურა, რომელთა ნაწილი ექვემდებარება განახლებას, თუმცა არის ნაწილი, რომელიც შესაძლებელია იგივე დარჩეს, რადგან წარმოადგენს კვლევების დაჯამებას, ანალიზს და ა.შ. რაც მნიშვნელოვანია, რადგან სტუდენტი შემზადდეს სასწავლო კურსისთვის და განხილვისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, დააზუსტა ინფორმაცია რამდენიმე რჩევასთან დაკავშირებით, „სასურველია, რომ სხვადასხვა სახელმძღვანელოთი ისწავლებოდეს თითოეული სასწავლო კურსი“, სთხოვა ორივე მხარეს დაეზუსტებინათ თუ რატომ მეორდებოდა ლიტერატურა, ზოგიერთი თემა დაფარულია ერთ სასწავლო კურსში და უბრალოდ რესურსია მითითებული სხვაგან თუ რატომ ხდება დუბლირება. ასევე ექსპერტებს სთხოვა ესაუბრათ რჩევაზე - „საჭიროა განისაზღვროს კონცენტრაციის ცალკეული მიზნები და შედგები“, მან დასძინა, რომ აუცილებელია თუ პროგრამა კონცენტრაციებით არის აგებული და რამდენად შეიძლება იყოს აღნიშნული რჩევა. ასევე დაინტერესდა თუ რატომ არის რჩევა, რომ ყველა სტუდენტმა სავალდებულოდ უნდა გაიაროს კვლევითი პროექტი.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ, განაცხადა, რომ არის ჩანაწერი, რომ თითქოს კონცენტრაციები არ ქმნიან კომპონენტებს პროგრამაში, არამედ ქვიათ მოდულები, მან ექსპერტთა ჯგუფს სთხოვა დაეზუსტებინათ თუ როგორ იყო პროგრამაში წარმოდგენილი, წერია „სასურველია, რომ მოდულებს შეეცვალოთ სახელწოდება, რადგან სამაგისტრო საფეხურზე მოდულარული სწავლება სხვა შინაარსებთან ასოცირდება. ხოლო კონცენტრაციების შემთხვევაში, საჭიროა განისაზღვროს კონცენტრაციის ცალკეული მიზნები და შედგები“. გარდა ამისა, არის ჩანაწერი „ასევე, პროგრამის სწავლის შედეგებს უნდა შეესაბამებოდეს მხოლოდ ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები“, ანუ გამოდის, რომ პროგრამის სწავლის შედეგებზე გადის არჩევითი სასწავლო კურსები, თუ ჩანაწერშია უზუსტობა.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, დააზუსტა, რომ სასწავლო კურსებში არსებული „კლინიკური გერონტოლოგია“, ხომ არ არის ეს სინამდვილეში სოციალური გერონტოლოგია, რადგან კლინიკური გერონტოლოგია არის გერიატრია, რაც არის მედიცინის ერთ-ერთი საგანი, რაც საბჭოს წევრმა შემოიტანა პირველად თსსუ-ში, 2012 წელს, გერიატრია არ ისწავლებოდა მანამდე, იგივე ლიტერატურის ჩამონათვალში მითითებულია სოციალური გერონტოლოგია, როგორც ერთ-ერთი ძირითადი წყარო, მისი მოსაზრებით აღნიშნული სასწავლო კურსი გერიატრიას ნაკლებად ეხება, ვიდრე სოციალურ გერონტოლოგიას და ხომ არ ჯობია ეს სახელი ერქვას, რადგან კლინიკური გერიატრია არის აბსოლუტურად სხვა, გერონტოლოგია არის დაბერების მექანიზმები, გერიატრია არის ხანდაზმულების მკურნალობა, მათი ასაკთან დაკავშირებული სპეციფიკის გათვალისწინებით და რადგან მკურნალობა არ არის მათი სფერო

და ეს არის სოციალური საკითხი, წყაროდაც მითითებულია სოციალური გერონტოლოგია ხომ არ ჯობია სახელწოდებაც ასეთი ჰქონდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდ აიყოს სამედიცინო თემატიკა და სწავლის შედეგებიც განსხვავებული.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, შორენა საძაგლიშვილმა, მოდულარულ სწავლებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დასკვნის პროექტის შემდეგ მიიღეს დაწვრილებითი პასუხი, თუ რას შეეხებოდა აღნიშნული მოდული და რეალურად ეს არც მოდულია და არც კონცენტრაცია, ეს არის ჩამონათვალი სტუდენტებისთვის სასწავლო კურსების მიხედვით, რომ აირჩიოს გარკვეული კურსი და ჰქონდეს იმ მიმართულებაში კომპეტენცია, ამდენად სასურველია შეუცვალონ სახელი, რადგან კონცეპტუალურად ეს არ არის კონცენტრაცია და არც მოდული, შესაბამისად ტერმინოლოგიური პრობლემაა, სხვა შემთხვევაში, როგორც წერია საჭირო იქნებოდა კონცენტრაციას თავისი მიზნები და შედეგები ჰქონოდა ჩამოყალიბებული, რაც ტექნიკური გაუმართაობაა. ერთიდაიგივე სახელმძღვანელოს სხვადასხვა დონეზე გამოყენების შესახებ მან განაცხადა, რომ ერთიდაიგივე კვლევის წიგნი მიეწოდება სამივე საფეხურის სტუდენტს, მაგრამ როგორც ექსპერტთა ჯგუფს აუხსნეს სხვადასხვა ნაწილები მიეწოდებათ და არა ერთიდაიგივე. კვლევითი პროექტის სავალდებულოობის შესახებ მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით კარგი იქნება, რადგან სტუდენტს დაეხმარება სამაგისტრო თემის დაწერაში, რაც ძალიან კარგი პრაქტიკა იქნებოდა ყველასთვის.
საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი, დაინტერესდა აღნიშნული სასწავლო კურსის არჩევითობა არის თუ არა ასახული სწავლის შედეგებში.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაბალანსებულია ბევრი კვლევითი კურსით, რომელიც საბაკალავრო დონეზეც აქვთ სტუდენტებს გავლილი და რომელ სტუდენტსაც გავლილი აქვს კვლევის ბევრი საგანი მას აქვს დამოუკიდებელი კვლევის უნარებიც. 1.2 კომპონენტთან დაკავშირებით კითხვის შესახებ, მან განაცხადა, რომ არა მხოლოდ ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები იყო წარმოდგენილი, არამედ იყო ყველა.
ექსპერტმა, ნანა ბურდულმა, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფისთვის გაუგებარი იყო, რომ ზოგიერთი არჩევითი კურსის, მათ შორის მოდულების, შესაძლებელია, რომ სტუდენტს ყველა მოდულის არჩევა არ მოუწიოს, შესაბამისად მოდულარულად სწავლის შედეგები, თუ მოდულების სწავლის შედეგები ასახული იქნებოდა პროგრამის სწავლის შედეგებში ეს ნიშნავს, რომ კონცენტრაციაა და არა მოდული, თუ ეწოდება მოდული შედეგებში არ უნდა იყოს ასახული, თუ იქნება კონცენტრაცია სამაგისტრო ნაშრომის ჩათვლით 30 კრედიტის მოცულობა უნდა ჰქონდეს კონცენტრაციას.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტმა, ქრისტინე ჩიხლაძემ, განაცხადა, რომ ეს არის ძველი პროგრამა, როდესაც კონცენტრაცია ტერმინიც კი არ არსებობდა, ეს არც მოდულია და არც კონცენტრაცია, დაწესებულებამ კურიკულუმი სპეციალურად არ განაახლა, რადგან ჩაათვალეს, რომ კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოსთან შესაბამისობა არ იყო ისეთი ღრმა პროცესი, როგორიც აკრედიტაცია, აკრედიტაციის პროცესისთვის კურიკულუმი გადაიხედება და როგორც პროგრამის აკადემიური პერსონალი გადაწყვეტს უნდათ მოდულარული სისტემით გააკეთებენ და უნდათ კონცენტრაციით, ამ ეტაპზე არის უბრალოდ დაჯგუფებული, რათა სტუდენტს გაუმარტივდეს მსგავსი თემების არჩევა.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, დასძინა, რომ სწორედ ახალი კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩო მოიაზრებს კონცენტრაციათა საკითხს და როდესაც პროგრამა გადადის ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან თანხვედრაში, უნდა გათვალისწინებულიყო ეს საკითხი.
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო შატბერაშვილმა, განმარტა, რომ რეალურად ეს იყო თემატური დაჯგუფება ახალი კანონის შესაბამისად, რომელიც გვაცნობს სოციალურ მუშაობას სხვადასხვა მიმართულებით და შესაბამისად დასაქმების ბაზარზეც გაჩნდა მოლოდინი, რომ თუ ადამიანი წავა ჯანდაცვაში თუ განათლებაში შესაბამისი მინიმალური ცოდნა ჰქონდეს, დაწესებულების წარმომადგენლებმა თემატურად დააჯგუფეს,

რათა სტუდენტს ჰქონოდა შესაძლებლობა, რომ მისი ინტერესების გათვალისწინებით აერჩია რამდენიმე კურსი, თუმცა რეაკრედიტაციამდე ამას გადახედავენ და, როგორც დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ურჩევს მოდულარული დატოვონ, თუ კონცენტრაცია გახდეს და 30 კრედიტი შესთავაზონ ამაზე კიდევ დაფიქრდებიან, მაგრამ ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი იყო რომ სტუდენტებს მინიმალურ დონეზე მაინც მოემზადებინათ თავი შრომის ბაზრისთვის, რომ შეძლებოდათ კონკრეტული ცოდნის აკუმულირება გარკვეული მიმართულებით. რაც შეეხება სახელმძღვანელოების გამეორებას სხვადასხვა სასწავლო კურსებში, მან განმარტა, რომ მეორდება რაღაც თავები, რაღაც საკითხებს ლექტორი მეტად უღრმავდება, ამას დაუთმეს ბოლო ორი წელი, რომ აღმოეფხვრათ სილაბუსებს შორის სახელმძღვანელოების გადაფარვა, ასე რომ ეს აქვთ ყურადღების ცენტრში.
კლინიკური გერონტოლოგიის კურსის შესახებ მან განაცხადა, რომ ნამდვილად იგულისხმება, თუ რა არის სოციალური მუშაკის როლი ხანდაზმულებთან მუშაობის დროს, თუმცა ეს არ გამორიცხავს თუ ხანდაზმული სამედიცინო დახმარებას იღებს რა არის სოციალური მუშაკის როლი, მაგრამ ეს კურსი არ არის ჯანდაცვის პროფილით, ამიტომ კურსის ავტორს გააცნობენ საბჭოს წევრის მოსაზრებას და თუკი სახელწოდება დამაბნეველია, შესაძლებელია შეიცვალოს.
სწავლის შედეგებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ექსელის ფაილი ძალიან მოუქნელი იყო, როდესაც ამდენ კურსზე აჩვენებდა შედეგებს, მხოლოდ სავალდებულო კურსებზე უნდა ყოფილიყო და ეს ყველაზე მარტივი დასაკორექტირებელია.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალური მუშაობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხი („ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა);

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციალური მუშაობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	26.07.2012, გადაწყვეტილება №277
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალური მუშაობის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0923 - სოციალური მუშაობა და კონსულტირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	30
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი 0179, ჭავჭავაძის გამზ. 8, 14, კორპუსი VI, IV.
15		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადეს - მარიამ შენგელიამ, გიორგი ღაღანიძემ და თეონა მატარაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, შორენა საძაგლიშვილმა, განცხადა, რომ აღნიშნულ პროგრამაში მოიაზრება დარგის საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობა, მათი დახმარებით განვითარდა პროგრამა და საკმაოდ კვალიფიციური პროგრამაა, სწორედ ამიტომ აკმაყოფილებს პირველ და მეოთხე სტანდარტს სრულად, თუმცა არის რამდენიმე რეკომენდაცია მეორე სტანდარტთან მიმართებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. მიზანშეწონილია, რომ ყველა დოკუმენტში (მათ შორის, პროგრამა და თვითშეფასება) პროგრამის მიზნები იდენტურად იყოს წარმოდგენილი;
2. მიზანშეწონილია, დეტალურად განისაზღვროს მიღების წინაპირობები და დაზუსტდეს, თუ რომელი მიმართულების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავებულს შეუძლია წარმოდგენილი პროგრამის კონკურსში მონაწილეობის მიღება;
3. მიზანშეწონილია, რომ სხვადასხვა სახელმძღვანელო იყოს გამოყენებული სწავლების სხვადასხვა საფეხურზე სწავლების დონის შესაბამისად;
4. მიზანშეწონილია, რომ კურსში "დარგობრივი სემინარი" სოციალური მუშაობის დარგის სპეციფიკა მეტად იყოს წარმოდგენილი ან/და გაწერილი იყოს თემები ან აქტივობები კვირების მიხედვით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, თამარ მახარაძემ, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რეკომენდაცია შესრულებულია მოიყვანეს შესაბამისობაში. რაც შეეხება წინაპირობებს, თუ ვისთვის იღება კარები, აქამდე მათ არ ჰქონიათ წინაპირობა, უნდოდათ, რომ სხვადასხვა სპეციალობის ადამიანები მისულიყვნენ პროგრამაზე და არ ქონიათ ამის გამოცდილება, რადგან ძირითადად მათივე სპეციალობის ადამიანები მიდიან ხოლმე. აპლიკანტების მიერ პროგრამაზე შემოსასვლელად წარმოდგენილ კვლევით პროექტებში კარგად ჩანს ის თემა რელევანტურია თუ არა სოციალური მუშაობისათვის, აქამდე ეს თემა არ იყო პრობლემური საკითხი, რადგან ძირითადად იმავე სპეციალობის ადამიანები მიდიოდნენ, მათი პროსპექტუსი შესაბამისობაში იყო და თვლიან, რომ ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რამ, რომ კვლევა, რომლის განხორციელებასაც აპირებს დოქტორანტი შესაბამისობაში მოდის დისციპლინასთან, პროგრამის წარმომადგენლებმა ჯგუფის შიგნით იმსჯელეს და შესაძლებელია გაითვალისწინონ და რაღაც ფილტრი ჩადონ. მეოთხე რეკომენდაციის შესახებ, მან განმარტა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებისთვის რთული იქნებოდა მიეცათ სია, თუ საიდან უნდა აერჩიათ თემა, რადგან სოციალური მუშაობისთვის ძალიან მრავალფეროვანი თემებია ხელმისაწვდომი და შესაძლებელია ჩამონათვალს სრულად არ აესახა ის ინტერესები, რაც დოქტორანტს შეიძლება ჰქონოდა ამიტომ იფიქრეს, რომ ხელმძღვანელთან საუბრისას შეიძლება გაფილტრულიყო და ჰქონოდა სპეციფიკა, რომელიც სპეციალობისთვის არის მნიშვნელოვანი და ფაკულტეტის საბჭოზე ყოველთვის გადის შეთანხმებული თემა, რომელიც შესაბამისობაში მოდის დისციპლინასთან, ამიტომ ეს თანამშრომლობა იძლევა იმაში დარწმუნების საშუალებას, რომ თემა აუცილებლად არის დარგის სპეციფიკასთან შესაბამისობაში.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, რევაზ ჯორბენაძემ, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს პროგრამების დეტალური შესწავლისთვის და აღნიშნა, რომ ვინაიდან პროგრამებს რეაკრედიტაცია ძალიან მალე უწევს დაწესებულება გაითვალისწინებს ყველა რჩევებს/რეკომენდაციებს. მისი განცხადებით სხდომაზე საუბარი იყო სახელმძღვანელოების გამეორებაზე, მაგ., სასწავლო კურსზე „კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებაში - ემპირიული კვლევის მეთოდები“, ლია წულაძის თვისებრივი კვლევის მეთოდების სახელმძღვანელო საკმაოდ ახალი და მოცულობითია, მასში გათვალისწინებულია ის მასალა, რაც სხვადასხვა საფეხურზე უნდა იყოს წარმოდგენილი და სტუდენტი ყველა საფეხურის შესაბამისად იძენს ცოდნას, ზემოაღნიშნულ სასწავლო კურსს ასწავლის რამდენიმე ლექტორი და ბოლოს სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს ნაშრომი, რომელშიც გამოიყენებს, ემპირიული კვლევის რომელიმე მეთოდს, თავის მონაცემებთან დაკავშირებით, სწორედ ემპირიულ მონაცემებზეა აქცენტი გადატანილი, მისი მოსაზრებით, აღნიშნული საკითხი უფრო რჩევაში უნდა ყოფილიყო, თუმცა რეკომენდაციაშია აღნიშნული, აღნიშნული სასწავლო კურსი არის არა მხოლოდ განსახილველი პროგრამისთვის, არამედ მთელი ფაკულტეტის დოქტორანტებისთვის.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტმა, ქრისტინე ჩიხლაძემ, დარგობრივ სემინართან დაკავშირებით, განაცხადა, რომ ეს კურსი განსაზღვრულია საუნივერსიტეტო მინიმალური სტანდარტით და ფაკულტეტს თავისი მინიმალური მოთხოვნებიდან, სტანდარტებიდან გამომდინარე აქვს ფაკულტეტისთვის საფაკულტეტო საგნად, მაგრამ, როდესაც დოქტორანტის მიერ ხდება თემის შერჩევა ეს ხდება ხელმძღვანელთან ერთად, პარალელურად ეს გადის ფაკულტეტის საბჭოზე, რომელიც განიხილავს რამდენად შეესაბამება პროგრამის შინაარსს, ცალკეული პროგრამების თემატიკების ჩაშლა უბრალოდ შეუძლებელია და გამორიცხულია თემების დაკონკრეტება, რადგან დარგობრივი სემინარი არ უნდა ეხებოდეს სადისერტაციო თემას და შეიძლება ვიღაცის სადისერტაციო თემიდან იყო მიახლოებული თემატიკა, შესაბამისად აღნიშნული რეკომენდაცია მიუღებელია, ნამდვილად გათვალისწინებულია ფაკულტეტის საბჭოზე განხილვით, ხელმძღვანელის დასკვნითა და თანხმობით, შემდეგ კი ხდება ამ თემის საჯარო დაცვა, რომელიც ცალკე კრიტერიუმებით ფასდება.

პროგრამის მიზნებთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა ვერ დაინახეს სხვადასხვაგვარობა, თუმცა პროგრამა თავისი მიზნებითა და შედეგებით ამ ეტაპზე არის ის, რაც პროგრამითაა წარმოდგენილი და დანართ დოკუმენტებშიც იგივე მეორდება, მისთვის უცნობია, თუ რატომ არის ეს ჩანაწერი.
საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით დაწესებულება ეთანხმება რეკომენდაციას.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტმა დააზუსტა, რომ ეთანხმებიან მიზნების გადახედვის ნაწილს, თუმცა ამ ეტაპზე მიზნები არ გადაუხედავთ, რადგან ეს გამოიწვევს კურიკულუმის ცვლილებასაც, რაც არის სააკრედიტაციო პროცესი, შრომის ბაზრის კვლევა, ათასი ინდიკატორის დადგენა და უნდა მოხდეს მიზნების/შედეგების რეფორმულირება, ამიტომ ამ ეტაპისთვის ეს არ განუხორციელებიათ. რეკომენდაცია არის, რომ სხვადასხვა დოკუმენტში სხვადასხვაგვარად არის მიზნები წარმოდგენილი, რაც გადაამოწმა და ვერ დაინახა.
ექსპერტმა, ნანა ბურდულმა, განმარტა, რომ ეს ეხებოდა თვითშეფასების დოკუმენტსა და პროგრამის მიზნებს, თვითშეფასებაში უფრო სრულყოფილად იყო წარმოდგენილი, უფრო მეტად ასახავდა სოციალური მუშაობის სპეციფიკას, რაც უფრო ზოგადად იყო წარმოდგენილი პროგრამაში.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი დაეთანხმა ექსპერტს, მან განაცხადა, რომ თვითშეფასების დოკუმენტში შესაძლებელია საერთოდ არ გაიმეორონ მიზნები და იყოს მხოლოდ ინტერპრეტაცია, რეალურად დოკუმენტი არის მხოლოდ პროგრამა.
ექსპერტის, ნანა ბურდულის, განცხადებით, ესმით რომ ეს ასეა, თუმცა აბსოლუტურად მისაღები იყო, ის რაც იყო თვითშეფასებაში წარმოდგენილი, მაგრამ პროგრამაში უფრო ზოგადი სახით იყო წარმოდგენილი მიზნები, სწორედ ეს აისახა დასკვნაში.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტმა განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს არ შეუცვლიათ მიზნები, ეს იყო მათი მიდგომა, რომ უნდა გაეკეთებინათ რეაკრედიტაციის პროცესში და ჩარჩოსთან შესაბამისობაში სიღრმისეულად არ უნდა გაკეთებულიყო, რადგან პროცესიც ვერ ესწრებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრი, თამარ ჩხეიძე დაინტერესდა თუ როდის გადის აკრედიტაციის ვადა პროგრამას და როდის არის განსაზღვრული წარდგენა.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტმა განაცხადა, რომ 7 ივლისს გასდის ვადა, თუმცა 6 თვით ადრე უწევთ წარდგენა და მუშაობა უკვე დაწყებულია.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განაცხადა, რომ როდესაც რეაკრედიტაციის მიზნებისთვის გადაიხედება პროგრამა უნდა დაიხვეწოს პროგრამის მიზნებიც, ჩამოყალიბდეს უფრო მკაფიოდ და სწავლის შედეგებში გაპარული ხარვეზები ცოდნა-უნარებში აღრევები და გაზომვადობა უნდა გასწორდეს, თუმცა ურიგო არ იქნებოდა მცირე რეფრომულირება გაეკეთებინათ და უფრო გამართულად წარმოედგინათ. მან მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, რომ მისაღები იყო მათი განმარტება გარკვეული საკითხების რჩევაში დატოვების შესახებ საბაკალავრო/სამაგისტრო საფეხურზე, თუმცა სთხოვა განემარტათ თუ რატომ მოხვდა რეკომენდაციაში საკითხები, რომლებიც დანარჩენ ორ საფეხურზე რჩევა იყო. ასევე, სთხოვა დაეზუსტებინათ ინფორმაცია მეორე რჩევის შესახებ („სასურველია, რომ პროგრამის მიერ შემოთავაზებული იყოს მეტი სასწავლო კურსები, რომლებიც მორგებული იქნება სოციალური მუშაობის თანამედროვე მეთოდოლოგიაზე და კვლევებზე“), შეახსენა, რომ საუბარია სადოქტორო პროგრამაზე და სთხოვა ესაუბრათ აღნიშნულ რეკომენდაციაზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, შორენა საძაგლიშვილმა, ლიტერატურასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ყველგან იყო რეკომენდაცია, მაგრამ სამაგისტრო საფეხურზე იყო ერთი რეკომენდაცია და შესაბამისად ყველა სტანდარტი გამოვიდა სრულ შესაბამისობაში, მაგრამ ლიტერატურასთან დაკავშირებით განხილული იყო რეკომენდაციაში.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, დასძინა, რომ ეს იყო რჩევა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, შორენა საძაგლიშვილმა განმარტა, რომ ეს იყო რეკომენდაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ დაადასტურა, რომ ლიტერატურის ნაწილი გამოტანილია რეკომენდაციაში.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ვინაიდან იყო ერთი რეკომენდაცია გამოვიდა სრულად შესაბამისი სტანდარტებთან, ექსპერტთა ჯგუფს ერთნაირი მიდგომა ჰქონდა ლიტერატურის საკითხთან დაკავშირებით. წინაპირობები საბაკალავროს შემთხვევაში იყო რჩევა, ხოლო სადოქტორო არის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი სოციალურ მუშაობაში, რომ სადოქტორო პროგრამაზე არ მივიდეს ადამიანი, რომელსაც არ აქვს გამოცდილება სოციალური მუშაობის მიმართულებით, ან არ არის დაზუსტებული, რომ მას აქვს ამ მიმართულებით მუშაობის გამოცდილება, სულ მცირე 5 წელი, გამოდის, რომ ადამიანს შესაძლებელია მიენიჭოს დოქტორის ხარისხი სოციალურ მუშაობაში, შეეძლოს კვლევის განხორციელება, მაგრამ იდენტიფიკაცია სოციალურ მუშაკთან არ ექნება. ეს არის ძალიან პრინციპული საკითხი და მნიშვნელოვანია ყავდეთ მკვლევარი, რომელიც უშუალოდ ამ სფეროში მოღვაწეობს და ნამდვილად სოციალური მუშაობის მიმართულებით შეუძლია კვლევის ჩატარება, მისთვის გასაგებია, რომ ჯერ სხვა არ დაინტერესებულა, მაგრამ რომ დაინტერესდეს ბიზნესის კურსდამთავრებული, კარგი თემაც წარმოადგინოს, მაგრამ რეალურად საკმარისი არ იქნება კვლევის გაკეთება სოციალურ მუშაობაში, რომ ამ ადამიანს ჰქონდეს იდენტიფიკაცია სოციალური მუშაკის, შესაბამისად ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ერთ საფეხურზე მაინც ჰქონდეს სოციალური მუშაკის განათლება. სოციალური მუშაობის კვლევის სწავლებასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ეს არის საფაკულტეტო საერთო კურსი, თუმცა ექსპერტს მიაჩნია, რომ სოციალური მუშაობა იმდენად განვითარდა, არ უნდა იყოს ინტერდისციპლინური და კონკრეტულად ამ მიმართულებით ჰქონდეთ სასწავლო კურსი, არ იყოს საუნივერსიტეტო და იყოს მხოლოდ სოციალური მუშაობის.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, დასძინა, რომ სამაგისტრო საფეხურზე გერონტოლოგიასა და ზოგიერთ კურსზე ლიტერატურის განახლება წერია, მაგრამ რჩევაში წერია - „სასურველია, რომ სხვადასხვა სახელმძღვანელოთი ისწავლებოდეს თითოეული სასწავლო კურსი“; „სასურველია, არ მეორდებოდეს სახელმძღვანელოები სამაგისტრო და საბაკალავრო საფეხურზე“.
დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, თამარ მახარაძემ, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს ძალიან საინტერესო თემის წამოჭრისთვის და, როგორც უკვე აღინიშნა პროგრამის განმახორციელებელთა ჯგუფში იყო დისკუსია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ასევე გაესაუბრებიან ინგლისელ თანახელმძღვანელს და აუცილებლად იმსჯელებენ აღნიშნულ საკითხზე.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, რევაზ ჯორბენაძემ, განაცხადა, რომ მიღების პროცედურა არის შემდეგნაირი, კანდიდატმა უნდა დაწეროს პროსპექტუსი, რომლის დაწერამდეც უნდა ჰყავდეს ხელმძღვანელი, თუ სხვა სფეროდან მოდის მას გაუჭირდება ხელმძღვანელის აყვანა და ვერც ჩააბარებს აღნიშნულ პროგრამაზე, მაგ., თუ მოდის იურისტი, რომელსაც ნამუშევარი აქვს ამ სფეროში და უნდა სადოქტორო დისერტაცია დაიცვას, ასეთ შემთხვევაში ეძლევათ საშუალება არჩევითი კურსი, ან დაბალ საფეხურზე გაიაროს სასწავლო კურსი შესაბამისი ცოდნის გასაღრმავებლად, სხვა შემთხვევაში არ მტკიცდება „გარედან მოსული“ დოქტორანტებისთვის თემები და ხელმძღვანელიც არ აიყვანს მას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:20
დასრულების დრო: 19:35

აკრედიტაციის საბჭოს მიერ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალური მუშაობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის 1.1 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 2.5 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალური მუშაობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის თანახმად 60 დღიანი ვადის მინიჭება ექსპერტთა დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების მიზნით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:
1. რეკომენდირებულია, სასწავლო პროგრამის მიზნების მკაფიოდ რეფორმულირება, პროგრამის შინაარსისა და მისაღწევი სწავლის შედეგების გათვალისწინებით;
2. რეკომენდირებულია, სასწავლო პროგრამის სტრუქტურა ნათლად და მკაფიოდ იქნას წარმოდგენილია;
3. რეკომენდირებულია, სირ სასწავლო კურსებში სავალდებულო ლიტერატურის განახლება და შესაბამისობაში მოვიდეს საბაკალავრო საფეხურთან;
4. რეკომენდირებულია, დაზუსტდეს პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისობაში მოვიდეს საბაკალავრო საფეხურის შესაბამის დონესთან;

რჩევები:
1. სასურველია, უფრო დეტალურად იყოს წარმოდგენილი დაშვების წინაპირობები და პროცედურები;
2. მიზანშეწონილია, რომ პროგრამის სტრუქტურაში ნათლად იყოს წარმოდგენილი სასწავლო კურსებს შორის თანმიმდევრობა პირველი სემესტრიდან დაწყებული ბოლო სემესტრამდე;
3. სასურველია, რომ პროფესიული კურსებიდან სტუდენტს ჰქონდეს მეტი საგნების არჩევის შესაძლებლობა, ხოლო საფაკულტეტო საგნები, სავალდებულოს გარდა, ნაკლები შეზღუდვებით აირჩიოს. რაც გამოიხატება იმაში, რომ პროგრამის საფაკულტეტო არჩევითი კურსები შეთავაზებულ იქნას ერთიანად და სტუდენტს ჰქონდეს მეტი შესაძლებლობა და თავისუფლება, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აირჩიოს მისთვის შესაბამისი საფაკულტეტო კურსები;

4. სასურველია მიეთითოს, რომ თავისუფალი კრედიტების არჩევა სტუდენტს შეუძლია ნებისმიერი სხვა ფაკულტეტიდან;
5. სასურველია, რომ პროგრამას ჰქონდეს პრაქტიკის კონცეფცია, რომელშიც გაიწერება ზოგადად რა კომპეტენციებს იძენენ სტუდენტები პრაქტიკაზე, რას ემსახურება პრაქტიკა, როგორ ხორციელდება სტუდენტების შეფასება და მონიტორინგი;
6. სასურველია, სტუდენტების პრაქტიკის დოკუმენტაცია განხორციელდეს ელექტრონული პორტფოლიოების დახმარებით;
7. სასურველია, რომ სტუდენტთა შეფასება განხორციელდეს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი გზებით;
8. სასურველია, რომ პროგრამამ უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის მეტი წახალისება სამეცნიერო მუშაობის განვითარების კუთხით;
9. სასურველია, რომ სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამისთვის გამოყოფილი თანხა წარმოდგენილი იყოს ცალკე ბიუჯეტის სახით.

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალური მუშაობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დაევალოს 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს რეკომენდაციები რომლებიც ოქმშია მოცემული.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალური მუშაობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის 1.2 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; მეორე სტანდარტი , ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რადგან 2.1 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალური მუშაობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის თანახმად 60 დღიანი ვადის მინიჭება ექსპერტთა დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების მიზნით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია, დაზუსტდეს და შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის წავლის შედეგები პროგრამის მიზნებთან და პროგრამის სავალდებულო კომპონენტებთან ს მიმართებით;
2. რეკომენდირებულია, დაზუსტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - ინგლისური ენა არანაკლებ B2 დონე;
3. მიზანშეწონილია ზოგიერთ სასწავლო კურსში განახლდეს სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა, მათ შორის, შემდეგ სასწავლო კურსებში: კლინიკური გერონტოლოგია, საერთაშორისო სოციალური მუშაობა, სოციალური მუშაობა ნივთიერებებზე დამოკიდებულ პირებთან, ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკა: სოციალური მუშაობის პერსპექტივა;
4, რეკომენდირებულია, სასწავლო კურსი „კლინიკური გერონტოლოგია“ დასახელება შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსით;

რჩევები:

1. სასურველია, პროგრამის მიზნები უფრო კომპაქტურად ჩამოყალიბდეს, რადგან იყოს მეტად აღქმადი დაინტერესებული პირისთვის;
2. სასურველია, პროგრამის შედეგები უფრო კომპაქტურად ჩამოყალიბდეს, რადგან იყოს მეტად აღქმადი დაინტერესებული პირისთვის;
3. პროგრამის სწავლის შედეგებს უნდა შეესაბამებოდეს მხოლოდ ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები;
4. სასურველია, სტატისტიკა იყოს « სხვა კურსების » ჩამონათვალში და არა მაკრო პრაქტიკის ბლოკში;
5. სასურველია, თავისუფალი 10 კრედიტი არ იყოს შემოთავაზებული და დაეთმოს სავალდებულო არჩევით კურსებს;
6. სასურველია, სასწავლო კურსის « სოციალური მუშაობის პრაქტიკა III» ი აღიწეროს სტუდენტების კონკრეტული სფეროსა და სამუშაო მეთოდებისადმი ინტერესის შესაბამისად კონკრეტული მოდულის (შეთავაზებული ოთხი მოდულიდან) არჩევის ან არ არჩევის შემთხვევაში;
7. სასურველია, სოციალური კვლევის მეთოდები 1 და 2 სავალდებულო იყოს მხოლოდ იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც არ აქვთ გავლილი კვლევის მეთოდები, ხოლო იმათ, ვისაც აქვთ საბაკალავრო დონეზე აქვთ გავლილი, სასურველია შეთავაზებული იქნას კონსოლიდირებული კურსი, რომელშიც გაერთიანდება ზემოთ აღნიშნული ორი კურსის მნიშვნელოვანი საკითხები;
8. სასურველია, რომ პროგრამაში არჩევით საგანად მოცემული “კვლევითი პროექტი”, რომელიც სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში უწყობს ხელს სტუდენტებს, ისწავლებოდეს სავალდებულო კურსად;
9. სასურველია, რომ პროგრამას ჰქონდეს პრაქტიკის კონცეფცია, რომელშიც გაიწერება ზოგადად რა კომპეტენციებს იძენენ სტუდენტები პრაქტიკაზე, რას ემსახურება პრაქტიკა, როგორ ხორციელდება სტუდენტების შეფასება და მონიტორინგი;
10. სასურველია, სტუდენტების პრაქტიკის დოკუმენტაცია განხორციელდეს ელექტრონული პორტფოლიოების დახმარებით;
11. სასურველია, რომ სტუდენტთა შეფასება განხორციელდეს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი გზებით;
12. სასურველია, რომ პროგრამამ უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის მეტი წახალისება სამეცნიერო მუშაობის განვითარების კუთხით;

13. სასურველია, რომ სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამისთვის გამოყოფილი თანხა წარმოდგენილი იყოს ცალკე ბიუჯეტის სახით.

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალური მუშაობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დაევალოს 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს რეკომენდაციები რომლებიც ოქმშია მოცემული.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალური მუშაობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალური მუშაობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის თანახმად 60 დღიანი ვადის მინიჭება ექსპერტთა დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების მიზნით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:
1. რეკომენდირებულია, სასწავლო პროგრამის მიზნების მკაფიოდ რეფორმულირება, პროგრამის შინაარსისა და მისაღწევი სწავლის შედეგების გათვალისწინებით;
2. მიზანშეწონილია, დეტალურად განისაზღვროს მიღების წინაპირობები და დაზუსტდეს, თუ რომელი მიმართულების მაგისტრატურის კურსდამთავრებულს შეუძლია პროგრამის კონკურსში მონაწილეობის მიღება;
3, რეკომენდირებულია, გადაიხედოს სასწავლო რესურსები/ლიტერატურა და განახლდეს სწავლების საფეხურთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;

რჩევები:
1. მიზანშეწონილია, რომ ყველა დოკუმენტში პროგრამის მიზნები იდენტურად იყოს წარმოდგენილი;
2. სასურველია, რომ სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამისთვის გამოყოფილი თანხა წარმოდგენილი იყოს ცალკე ბიუჯეტის სახით.

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო

პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალური მუშაობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დაევალოს 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს რეკომენდაციები რომლებიც ოქმშია მოცემული.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2021 წლის 22 ოქტომბერს 19:38 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
ნაცვლიშვილი ეკატერინე